მემორანდუმი

შპს „კავკასიის უნივერსიტეტსა“ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს შორის საგანმანთლებლო და პროფესიულ სფეროში თანამშრომლობის შესახებ

ქ. თბილისი 01.11. 2021წ.

შპს „კავკასიის უნივერსიტეტი“ წარმოდგენილი პრეზიდენტის, კახა შენგელიას სახით (შემდგომში „უნივერსიტეტი“) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო წარმოდგენილი მისი აპარატის უფროსის ზურაბ ჭურკვეიძის სახით (შემდგომში „ორგანიზაცია“) (შემდგომში - მხარეები), აღიარებენ რა ორმხრივ ინტერესს, ხელი შეუწყონ სტუდენტების მიერ მიღებული ცოდნის პრაქტიკულ გაანალიზებასა და განზოგადებას, მათი კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებას, იურიდიული განათლების სფეროში თანამშრომლობის განვითარებისა და შემდგომი გაღრმავების მიზნით, თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1

1.1. თანამშრომლობის მემორანდუმით მხარეები, თავისი კომპეტენციისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ადგენენ ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებს. ორგანიზაცია გამოთქვამს მზადყოფნას, პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლების უზრუნველყოფის მიზნით, ერთი აკადემიური სემესტრის განმავლობაში მიიღოს სამართლის სკოლის საბაკალავრო პროგრამის მე-4 ეტაპის და სამაგისტრო პროგრამის ნებისმიერი ეტაპის ჯამში 5 სტუდენტი. სტუდენტების შერჩევას ახორციელებს კავკასიის სამართლის სკოლა.

1.2. სტუდენტის შეფასების კრიტერიუმები, მისანიჭებელი კრედიტის ოდენობა, პრაქტიკის ხანგრძლივობა და სხვა დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება სასწავლო პროგრამის (რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მიეწოდება ორგანიზაციას) შესაბამისად.

მუხლი 2

2.1. მხარეთა თანამშრომლობის მიზანია:

ა) ახალგაზრდების დახმარება ხარისხიანი იურიდიული განათლების მიღებასა და თვითრეალიზებაში;

ბ) პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

ბ) ახალგაზრდების სამართლებრივი მართლშეგნების დონის ამაღლება;

გ) გამოცდილების გაზიარება;

მუხლი 3

3.1. აღნიშნული მიზნების განსახორციელებლად მხარეები ითანამშრომლებენ განათლების სფეროში, რომელიც მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

ა) იურიდიული დოკუმენტების შედგენა;

ბ) მოქალაქეთა კონსულტაცია;

გ) ურთიერთობა სასამართლოსთან;

დ) სტუდენტთათვის საინტერესო სხვა საკითხები.

3.2. ორგანიზაცია ვალდებულია:

- გამოყოს თანამშრომელი, რომელიც იქნება სტუდენტის თანახელმძღვანელი (შემდგომში „თანახელმძღვანელი") და კონტროლს გაუწევს, ასევე შეაფასებს სტუდენტის მიერ შერულებულ პრაქტიკულ სამუშაოს;
- თანახელმძღვანელი ვალდებულია აქტიური ურთიერთობა შეინარჩუნოს სტუდენტის პრაქტიკის ხელმძღვანელთან და მიაწოდოს მას შესაბამისი ინფორმაცია პრაქტიკაში მონაწილე სტუდენტის/სტუდენტების შესახებ.

მუხლი 4

4.1. პრაქტიკის ფარგლებში სტუდენტების მიერ მისაღწევი კომპეტენციის შესახებ ინფორმაცია, სასწავლო გეგმა და შეფასების ფორმა აისახება შესაბამის სასწავლო პროგრამაში (რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მიეწოდება ორგანიზაციას).

4.2. მემორანდუმის საფუძველზე თანამშრომლობის დამატებითი მიმართულებები და ფარგლები შესაძლებელია განისაზღვროს მემორანდუმის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებებით.

მუხლი 5

5.1. წინამდებარე მემორანდუმში მხარეთა წერილობითი სახის შეთანხმების საფუძველზე შეიძლება შეტანილი იქნას ცვლილებები და დამატებები.

მუხლი 6

6.1. მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით.

მუხლი 7

7.1. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს უვადოდ.

7.2. მემორანდუმი შეიძლება შეწყდეს მხარის ინიციატივით ნებისმიერ დროს, შეწყვეტამდე 3 (სამი) თვით ადრე გაგზავნილი წერილობითი გაფრთხილების საფუძველზე. მემორანდუმის შეწყვეტის მიუხედავად, მხარეები იღებენ ვალდებულებას, დაასრულონ მემორანდუმის მოქმედების ფარგლებში დაწყებული აქტივობები.

მუხლი 8

მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მხარეთა ხელმოწერები:

შპს "კავკასიის უნივერსიტეტი"

მისამართი: ქ. თბილისი, პ.სააკაძის ქ. №1
ს/კ 205050567

პრეზიდენტი
კახა შენგელია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

მისამართი: ქ. ბათუმი ლ. ასათიანის ქ. № 37
ს/კ 245425749

აპარატის უფროსი
ზურა ჭურკვეიძე